ხაშურის მოამბე

№35 (66) 15 სექტემბერი, ხუთშაბათი, 2016 წელი

უკვე, მეექვსე წელია, ჩვენს ქალაქში, სახალხო დღესასწაული – ხაშურქალაქობა აღინიშნება. ყოველ წელიწადს კი, უფრო და უფრო იკრებს ძალებს და უფრო მეტად მასშტაბური და მრავლისმომცველი ხდება. ტრადიციას არც წელს ვუღალატეთ – წელსაც ვიზეიმეთ და კიდევ უფრო მეტად გავამყარეთ ბაზისი – წლების წინ დაწყებული ერთი გამორჩეული დღის. ხაშურქალაქობით, 10 სექტემბრის ერთი ჩვეულებრივი დღე, ვაქციეთ გამორჩეულად, ფერადად.

წინა სადღესასწაულო მზადება აქტიურად მიმდინარეობდა. უპირველეს ყოვლისა კი, უნდა აღინიშნოს მთელი მუნიციპალიტეტის გამგეობის, განსაკუთრებით კი გამგეობის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის დაუღალავი შრომა ღირსეული შედეგისათვის. ამ დღეს ნამდვილად შეემჩნა ამ ადამიანების ფიზიკური თუ სულიერი ღვაწლი.

რამდენიმეთვიანი ინფრასტრუქტურული სამუშაოების შემდეგ, ყაზბეგის ქუჩა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა და საკრებულოს თავჯდომარე ვაჟა შუბითიძემ საზეიმოდ გახსნეს. ახლად გაკეთებული სკვერი ნამდვილად გამორჩეული ადგილია ხაშურისთვის, თუმცა, ამჟამადაც, მთელი რიგი სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს ქალაქის სხ-

ვადასხვა კუთხეში, რომელიც მოგვიანებით ქალაქის იერსახეს მნიშვნელოვნად შეცვლის.

სტუმრებს სკვერში შესაძლებლობა ჰქონათ დაეთვალიერებინათ ხალხური რეწვის ნიმუშები, ადგილობრივი მხატვრების ნამუშევრები. სადეგუსტაციოდ კი წარმოდგენილი იყო ჩვენი სოფლის ნობათი, ქართული ნატურალური ღვინის ფართო ასორტიმენტი. ჩვენ კი, ჩვენის მხრივ, ვამაყობდით ჩვენი ქართული სუ-

ნოვოგრად-ვოლინსკი, ბაუსკა, რადვილიშკისი, ჰედემორა, გორკი, ტარნოვი: ,,ვამაყობთ, რომ ხაშური ჩვენი მეგობარია"

„ხაშური – ოქროს შემოდგომა 2016" ახალგახსნილ სასტუმროში „ივერია" ოფიციალური შეხვედრით დაიწყო. ჩვენმა ქალაქმა 6 ქვეყნის დელეგაციის სტუმრებს უმასპინძლა: შვედეთის, ბელორუსიის, პოლონეთის, უკრაინის, ლიტვის და ლატვიის. მათ შორის იყვნენ ხაშურთან დამეგობრებული ქალაქების: ნოვოგრად-ვოლინსკის, ბაუსკას, რადვილიშკისის, ჰედემორას, გორკის და ტარნოვის წარმომადგენლები, რომლებმაც თბილი სიტყვები არ დაიშურეს ჩვენი ქალაქის მიმართ და სამახსოვრო სუვენირებითაც დაგვასაჩუქრეს.

სტუმრებმა ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გადაინაცვლეს, სადაც უძველესი ექსპონატები დაათვალიერეს და ჩვენი ქალაქის მატიანეს ზედმიწევნით გაეცნენ. გარეთ გამოსულებს კი ქართულ-ნაციონალურ სამოსში გამოწყობილი გოგო-ბიჭები შეეგებნენ ეროვნული და მეგობარი ქალაქების დროშებით ხელში, რის სამაგიეროთაც სტუმრების აღფრთოვანება და კმაყოფილება მიიღეს – რა თქმა უნდა, სამახსოვრო სურათებმაც არ დააყოვნა. ქალაქის მოედანზე, დამეგობრებული ქალაქების სიმბოლურმა მაჩვენებლებმა, ასევე საოცარი ემოცია და სიხარული გამოიწვია. საფესტივალო მსვლელობა კი ცენტრალური პარკისაკენ გაგრძელდა.

ლით, ჩურჩხელის ექსკლუზივი რომ ქართველებს გვაქვს, ვამაყობდით გორული მწვანითა და ციცქა-ცოლიკაურით და კიდევ იმითაც, ჩვენს ევროპელ სტუმრებს ქართულ კულტურასთან ზიარება ასე ძალიან რომ მოსწონდათ.

გიორგი გურასპაშვილი- (ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი):

–მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების გამო, წელს, ხაშური "ოქროს შე-

მოდგომას" სექტემბერში შეხვდა, თუმცა, თავადაც ხედავთ, რომ ჩვენი ქალაქის დღესასწაულის მასშტაბები ყოველწლიურად ფართოვდება. მარტო ექვსი ქვეყნის დელეგაციეს სტუმრობა რად ღირს?! ეს ნამდვილად სახალხო ზეიმია, მთელი ხაშური ერთად აღნიშნავს სტუმრებთან ერთად. მინდა მივულოცო ჩემს თანამოქალაქეებს, ასე ერთობით, მშვიდობიან ქვეყანაში და ქალაქში გვეცხოვროს!

ბერნდტ ნიგარდსი, (შვედეთი) ჰედემორას მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: საქართველოში პირველად ვარ, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ

(დასასრული II გვერდზე)

(დასასრული)

ბოლოჯერ – არა. ძალიან მომეწონა თქვენი სოფლის პროდუქცია. თითქმის ყველაფერი დავაგემოვნე ღვინის ჩათვლით და მართლაც საუცხოო გემო აქვს. საოცარი გემოვნური თვისებები აქვს თქვენს ღვინოსაც და მსოფლიოში მოწინავე პოზიციებსაც ნამდვილად იმსახურებს. განსაკუთრებით მომეწონა აი ესენი... აქამდე არასოდეს გამისინჯავს (ამ დროს, ბატონი ბერნდტი ხელით მითითებს ტყლაპსა და ჩურჩხელაზე.)

ირინა სუხუბაევსკაია, (ბელარუსი) გორკის რაიონის აღმასრულებელი-კომიტეტის თავჯდომარის მოადგილე: ძალიან მოხიბლული ვარ საქართველოთი თქვენ შესანიშნავი ბუნება გაქვთ. ძალიან კეთილი, გულისხმიერი და სტუმართმოყვარე ხალხი ხართ ქართველები და მოხარულები ვართ, რომ მოვხვდით თქვენთან. გასულ წელს, როდესაც ჩვენ პირველად გავიცანით თქვენი ქვეყანა, უკან დაბრუნებულები ყველას ვურჩევდით თქვენს ქვეყანაში ჩამოსვლას - ჩვენ თანამემამულეებს, ჩვენს მეგობრებს. გუშინ ვინახულეთ ბორჯომი და კიდევ ერთხელ დავაგემოვნეთ ბორჯომის უნიკალური წყალი. იცით, ადრე ასეთი გამონათქვამი მესმოდა, მაგრამ ვერ ვხვდებოდი მის მნიშვნელობას: „მთებზე უკეთესი, მხოლოდ მთებია". ახლა კი, ნამდვილად ვხვდები – თქვენი მთების ნახვის შემდეგ. გუშინ ჩვენს გიდს ვეუბნებოდით კიდეც, რომ თქვენ, ალბათ, მიეჩვიეთ თქვენ ლამაზ ბუნებას, ისე მძაფრად ვეღარ აღიქვავთ-თქო, მაგრამ მან გვიპასუხა რომ ღვინის დალევის შემდეგ, ქართველები ლამაზ მთებსაც აღიქვამენ და ბუნებასაცო.

ნოვოგრად-ვოლინსკი, ბაუსკა, რადვილიშკისი, ჰედემორა, გორკი, ტარნოვი: ,,ვამაყობთ, რომ ხაშური ჩვენი მეგობარია"

დილით ჩატარდა გოგონათა რესპუბლიკური ტურნირი ფეხბურთში, გამარჯვებული გუნდი და საუკეთესო მოთამაშეები კი ბატონმა გიორგი გურასპაშვილმა სტუმრებთან ერთად მედლებითა და თასებით დააჯილდოვა. პარალელურად მიმდინარეობდა ჭადრაკისა და ქართული ჭიდაობის ტურნირები. ამასთან, ხაშურელმა ახალგაზრდებმა თითოეული ქვეყნის დელეგაციას სიურპრიზიც მოუწყეს, ცეკვებით სიმღერებითა და ლექსებით, 6 ქვეყნის ფოლკლორი და კულტურა საუკეთესოდ წარმოაჩინეს.

ფესტივალი გალა კონცერტით დაგვირგვინდა, სადაც ფოლკლორული ცეკვის ანსამბლებმა, მუსიკალურმა ჯგუფებმა და ნიჭიერმა მევიოლინეებმა მიიღეს მონაწილეობა. ტრადიციულად, ფესტივალზე დაჯილდოვდნენ ხაშურის საპატიო მოქალაქეები. ამჯერად, ეს საპატიო ტიტული გადაეცა პედაგოგ ნინო ქურდაძე-გელაშვილს, ხანგრძლივი და მაღალპროფესიული პედაგოგიური საქმიანობისთვის; პროფესორ კლარა ელჩიბეგაშვილს მაღალპროფესიული აკადემიური და სამეცნიერო მოღვაწეობისთვის;



გიედრიუს პუოჯუნასი, ლიტვის ელჩი: მიხარია რომ დღეს ვიმყოფები ამ საოცარ ქვეყანაში, საოცარ ხალხთან. მოხარული ვარ ჩვენი ქვეყნების და ასევე, რადვილიშკისის და ხაშურის მეგობრული ურთიერთობებით, ვიმედოვნებ, ასეთი წარმატებული თანამშრომლობა კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

დღის ბოლოს ანსამბლ „ეგარის" ფოლკლორული ჰანგების თანხლებით შემოდგომის მწიფე, მოწითალო მზის სხივები მსუბუქად ჩაცურდნენ და ხვალინდელ ამობრწყინებას ელოდებიან, სურამის ლურჯი ზეცაც ხომ უნდა ააელვარონ „ლესიაობისთვის".

„ხაშური – ოქროს შემოდგომა" კი ერთი წლით დაგვემშვიდობა.

თ. ახალკაცი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საკრებულოს თავმჯდომარის
ბრძანება №67

2016 წელი, ხაშური

ამირან კურტანიძის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსად დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 35–ე მუხლის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკონკურსო საატესტაციო კომისიის 2016 წლის 11 ივლისის 31 ოქმით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაინიშნოს ამირან კურტანიძე ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსად;
2. ბრძანება ეცნობოს: ამირან კურტანიძეს;
3. ბრძანება ეცნობოს: ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ დადგენილი წესით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური კოსტავას ქ 15) ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე

ამირან კურტანიძე

დაამთავრა ხაშურის V საშუალო სკოლაში. 1974-76წ-ში იმყოფებოდა სავალდებულო-სამხედრო სამსახურში. 1970-74წ-ში სწავლობდა საფეხბურთო სკოლა „ნორჩი დინამოელი”. 1976-81წ-ში თამაშობდა ხაშურის საფეხბურთო კლუბში „ივერია”. 1988 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1996 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1997-2006 წლებში მუშაობდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწედ. კითხულობდა ლექციებს თბილისის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. გამოქვეყნებული აქვს 10 ნაშრომი. ჰყავს ორი შვილი.

სასტუმრო, რომელიც ახე აყენდა ჩვენს ქალაქს

ძველ ადგილას, ძველი სახელით, ხაშურს მაღალი სტანდარტების სასტუმრო "ივერია" დაუბრუნდა. სულ რამდენიმე ხნის წინ ოფიციალურად გაიხსნა და პირველ ვიზიტორსაც უმსაპინძლა. გამოვტყდებით და ვიტყვით, რომ ჩვენ ქალაქში მანამდე სასტუმრო არ გვქონდა, მიუხედავად იმისა, რომ სურამთან სიახლოვის, ოფიციალური მიღებების და სხვა საჭიროების გამო, ინტერესი და მოთხოვნილება დიდი იყო. დღეს ამის შესაძლებლობა უკვე გვაქვს. გახსნიდან მესამე დღეს უკვე სამ ვიზიტორს უმასპინძლა, ხოლო ჩვენი ქალაქის დღესასწაულზე, ექვსი ქვეყნის დელეგაციას. ვესტუმრეთ სასტუმროს, დავათვალიერეთ. შევხვდით მენეჯერს, რომელიც გვესაუბრა მომსახურების პაკეტების და სხვა დეტალების შესახებ:

ლელა მელიქიშვილი(სასტუმროს მენეჯერი):

–სასტუმროში სულ 21 სტანდარტული ნომერია, ნომრის ღირებულება 50 დოლარია, სხვა ხარჯების შემთხვევაში, შესაბამისად, იზრდება ღირებულება.

გვაქვს 9 ორსაწოლიანი, 9 ორადგილიანი და 3 ერთსაწოლიანი ნომრები. პირველ სართულზე არის საკონფერენციო დარბაზიც. ყოველ ნომერს აქვს მინი ბარი, კონდიციონერი, სეიფი, ტელევიზორი, სააბაზანო. სამზარეულო ამ ეტაპზე არ არის, დილის საუზმე კეთდება რესტორანში, სტუმრები მიდიან იქ. პირველი ვიზიტორი გახსნის დღესვე გვყავდა, ესენი იყვნენ ოჯახი ქუვეითიდან. ამ ეტაპზე 9 თანამშრომელი გვყავს. ამჟამად ვმუშაობთ რეკლამაზე ვიზრუნებთ, რომ ტურისტებიც დავაინტერესოთ და მოვიზიდოთ.

როგორც სასტუმროს ინვესტორმა, ვალერი გელაშვილმა გვითხრა, მისი მთავარი ინტერესი იყო, ხაშურს ჰქონოდა სასტუმრო, რომელიც უპასუხებდა მაღალ სტანდარტებს და ამავდროულად მეტი ადამიანის დასაქმების შესაძლებლობას მისცემდა.

ვიმედოვნებთ, მოლოდინი გამართლდება და კიდევ ბევრი სიახლის მომსწრე და თანამონაწილე გავხდებით.



ჩვენმა მოჭიდავეებმა კვლავ გვასახელეს

ამ დღეებში, კასპის მუნიციპალიტეტში, ჩატარდა ვალიკო იაშვილს სახელობის მემორიალური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში ჭაბუკ სპორტსმენთა შორის, სადაც მონაწილეობა მიიღო ხაშურის მუნიციპალიტეტის მოჭიდავეთა ნაკრებმა გუნდმა. ჩვენმა ბიჭებმა შესანიშნავად იჭიდავეს და 7 მედალი დაისაკუთრეს.

ნოდარ ბუხრიკიძე – I ადგილი (55კგ.);
გიორგი ბედოშვილი – I ადგილი (50კგ.);
გიორგი მეხრიშვილი – II ადგილი (50კგ);
მიშიკო ნოზაძე – III ადგილი (60კგ.);
თემურ ჭაზეკაშვილი – II ადგილი (55კგ.);
ვასიკო ნოზაძე – III ადგილი (66კგ.);
უჩა გელაშვილი – III ადგილი (50კგ.).

ნაკრები გუნდი შეჯიბრებისათვის მოამზადა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა არჩილ მამულაშვილმა.

სურათებზე: ტურნირის ჩემპიონები: ნოდარ ბუხრიკიძე (მარჯვნივ) და გიორგი ბედოშვილი.

თემურ მაღალდაძე

სასპორტო სკოლის ჭიდაობის კოორდინატორი

ისტორიის მკაცრი გაკვეთილები და უგულისყური მოწაფეები

ისტორია ვინმეს თავშესაქცევად არ იწერებაო,–ნათქვამია, – რადგან იგი ჭკუისსასწავლებელია მომდევნო თაობებისთვის. ილია მართლისა არ იყოს, „შვილმა უნდა იცოდეს სად და რაზე შეჩერდა მამა, რას მიაღწია და რაში მოეცარა ხელი“, რათა სწორი დასკვნები გააკეთოს საამდროო საქმიანობისთვის. ერთ დიდ ისტორიკოსს ისიც უთქვამს, რომ ისტორია ერთობ მკაცრ გაკვეთილებს კი გვაძლევს, მაგრამ მისგან ვერავინ ვერაფერს სწავლობსო.

კაცობრიობის მთელი ისტორია, მისი მკაცრი გაკვეთილებისადმი ხალხების აგდებული დამოკიდებულების დადასტურებაა. ამ მხრივ, ჩვენ, ქართველები, ერთ-ერთი ყველაზე ცუდი მოწაფეები ვართ, რაც სრულიად აშკარად ეტყობა ჩვენს წარსულსაც და სადღეისო ყოფასაც.

ცოდნა დედის მუცლიდან არავის დაჰყოლია. მერე და მერე ვისწავლეთ ყველაფერი: ზოგი წიგნიდან, ზოგი დაკვირვებით, ზოგი სხვისი და ზოგიც საკუთარი გამოცდილებით. დაწყვეტილი თუ არ არის კაცი –„შენი არ გაცოდინა და სხვისი არ გაგაგონაო“,–ცოდნა-გამოცდილების უამრავი საშუალება გაგვიჩინა უფალმა. სიბეჯითე და გულისყური გვჭირდება მხოლოდ, პირველ ყოვლისა კი, ცოდნის მოპოვების სურვილი.

გვაქვს კი საამისო სურვილი და სიბეჯითე, რომ ცოდნა მოვიპოვოთ, დავაგროვოთ და გამოვიყენოთ? ჩვენი ხალხის მცირე ნაწილის გარდა, ასეთი სურვილი და სიბეჯითე არავის ეტყობა. ასე რომ არ იყოს, ერთსა და იმავე შეცდომებს კი არ დავუშვებდით პოლიტიკაში კულტურასა თუ განათლებაში.

ყველაფერზე ვერ ვილაპარაკებ, რადგან არც საამისო კომპეტენცია მაქვს და ისიც კარგად ვიცი, რომ „ყველაფერზე წერა და ლაპარაკი მხოლოდ უცოდინარ კაცებს შეუძლიათ“ (შალვა ნუცუბიძე). ამჯერად მკითხველის ყურადღებას მივმართავ ერთ უმნიშვნელოვანეს სოციალურ უნარ-თვისებაზე, რაც დიდად განსაზღვრავს როგორც კერძო პიროვნების, ისე მთელი ერის ქმედუნარიანობას. ეს არის არჩევანის გაკეთების უნარი, რაც წარსულის გამოცდილების ცოდნასა და მისი მიზეზ-შედეგობრივი ანალიზის საფუძველზე ყალიბდება. მაგალითად, ადამიანმა ქუჩაში დაგდებულ ქვას თუ წამოკრა ფეხი და წაბორძიკდა, ან იმ ქვას გადააგდებს, ან გადააბიჯებს და ან გვერდს აუვლის, გონიერება თუ არ ღალატობს, რა თქმა უნდა.



ასე იქცევა მთელი ერიც: ისტორიის გაკვეთილებიდან მიღებულ გამოცდილებას თავის სასარგებლოდ იყენებს. ეს ვინც ვერ მოახერხა, საკაცობრიო არენაზე მათი სახსენებელი გაქრა.

ადამიანი ცხოველისგან მხოლოდ ერთი რამით განასხვავა უფალმა: შემეცნების უნარით დააჯილდოვა, რაც საშუალებას აძლევს მას, საკუთარი ან სხვისი გამოცდილებით მოიპოვოს ცოდნა და გამოიყენოს. ცხოველი ვერ ახერხებს ამას და ამიტომაც ვერ ვითარდება. მგელი თუ ირემი, კურდღელი თუ შაშვი დღესაც ისეთივე შეცდომებს უშვებს, როგორსაც მისი წინაპრები უშვებდნენ ათასობით წლის წინ. ისტორიული წარსული ვერაფერს ასწავლის მას. ადამიანმა თუ მისივე შემოქმედი დაივიწყა, უფლის მიერ ნაბოძებ შემეცნებით უნარსაც ვეღარ გამოიყენებს მაშინ. წარსულის მოვლენებში ანუ ისტორიის გაკვეთილებში მიზეზ-შედეგობრივი კავშირი თუ ვერ დაინახა, ავსა და კარგსაც ვეღარ გაარჩევს და სწორ არჩევანსაც ვეღარ გააკეთებს. ეს იქნება მისი, როგორც სოციალური არსების კატასტროფა.

სწორედ აქეთ ექაჩებიან დღევანდელ კაცობრიობას ბოროტი ძალები!

არჩევანის გაკეთებას რა უნდაო,–იტყვის ზოგიერთი,–რაც ჩემთვის სასიამოვნოა, იმას ვარჩევ და მორჩაო! ცდება ზოგიერთი: სასიამოვნო ყოველთვის სასარგებლო როდია, სასარგებლო რომ დაინახო და აირჩიო, საგნებსა და მოვლენებში მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ლოგიკა უნდა შეამჩნიო და ისე გააკეთო დასკვნები. ამას მხოლოდ შემეცნების თანდაყოლილი ანუ ღვთით მონიჭებული უნარი შეგაძლებინებს, სხვა - ვერაფერი! სწორედ აქ არის საჭირო ისტორიის გაკვეთილების გახსენება.

დღევანდელი ცივილიზებული კაცობრიობა სრულიად აშკარად არის გაყოფილი ორ ურთიერთსაწინააღმდეგო ნაწილად, მაგრამ გამყოფი ხაზი სად გადის, ამის დანახვა მხოლოდ რწმენით განათებულ გონებას შეუძლია და არა იმ თვალს, ოკულისტების შესწავლის საგანი რომ არის. ამ „გამყოფი ხაზის“ დანახვა რთულია იმიტომ, რომ იგი სახელმწიფოთა ან კონტინენტთა შორის კი არა, არამედ – თითოეული ადამიანის შეგნებაზე, მრწამსსა და რწმენაზე გადის. ცალ მხარეს არის ადამიანური ზნეობა და მისი ერთგულება, მეორე მხარეზე – უზნეობა და მისი აპოლიგეტები.

რაც კაცობრიობა არსებობს, ზნეობა და უზნეობა მუდამ ებრძოდა ერთმანეთს, როგორც აშკარად, ისე ფარულად, საზოგადოებაშიც და ცალკეულ პიროვნებებშიც, მაგრამ მაშინ რეალური სახელები ერქვათ მათ. მაგალითად, მეძავი პრეისტორიულ ხანაშიც მეძავი იყო, მაგრამ მეძავობა სასახელო საქმედ არ მიაჩნდა არავის, თვით მეძავებსაც. ახლა ვითარება რადიკალურად შეიცვალა: მეძავებმა პრესტიჟული პოზიციები დაიკავეს. ისინი მისაბაძ და დაფასებულ (მაღალანაზღაურებად) პერსონებად იქცნენ. უცხოს, ან მთელი საზოგადოების წინაშე შიშველი სხეულის გამოფენა სირცხვილად აღარ ითვლება... ახლა სირცხვილად (ზოგ „მოწინავე“ ქვეყანაში – დანაშაულად!) ითვლება სირცხვილი!

კარგია ეს თუ ცუდი?

თანამედროვე ე.წ. დასავლური ლიბერალიზმის მიმდევრები ყვირიან, რომ ეს ძალიან კარგია, რადგან პიროვნებას ატავისუფლებს საზოგადოებრივი მორალის შეზღუდვებისგან. პ[იროვნების სრული თავისუფლება ხომ საზოგადოებრივი პროგრესის ერთ-ერთი არსებითი ნიშანია და რახან ასეა, სირცხვილის გრძნობა ამ პროგრესის გზაზე შემაფერხებელ ბარიერად არის ქცეულიო,–ქადაგებენ ისინი. ჯერ არ უთქვამთ, მაგრამ, ალბათ, მალე იტყვიან, რომ აღვადგინოთო ლენინისა და ტროცკის „მგზნებარე რევოლუციური ლოზუნგი – „ძირს სირცხვილი!“, რომელიც 1918-1924 წლებში შეაჩეჩეს ხელში უბედურ პროლეტარებს.

კაცობრიობის ისტორიაზე წარმოდგენა ვისაც აქვს, მან იცის, რომ ცხოველთა სამყაროს მაშინ გამოეყო ადამიანი და სოციალურ არსებად იქცა, როდესაც სირცხვილის გრძნობა გაუჩნდა და სხეულის ცალკეული ნაწილები დაიფარა. ვინც პოზიტიურ მეცნიერებას არ ენდობა და თეოლოგიურ ლიტერატურას სცემს მეტ პატივს, მაშინ მან „ბიბლიაში“ უნდა ჩაიხედოს ღვთის მიერ შექმნილი არსებები ადამი და ევა როდის გახდნენ ადამიანები ანუ სოციალური არსებები? როდესაც მათ სირცხვილის გრძნობა გაუჩნდათ და სამოთხის ანუ სრულიად უზრუნველი არსებობის დატოვება მოუხდათ. და თუ ადამიანი სირცხვილზე ხელს აიღებს, მაშინ მას უსათუოდ მოუწევს ველურობაში დაბრუნება! ტყუილად როდი ამტკიცებდნენ XX საუკუნის დიდი მოაზროვნენი: კაცობრიობა ცივილიზებული ველურობისაკენ მიექანებაო. ჩაცმა კულტურაა, სიშიშვლე – უკულტურობა! აი, ეს ჭეშმარიტება დააყენეს ეჭვქვეშ ისტორიის გაკვეთილების უარმყოფელმა მოწაფეებმა.

წარსულის გამოცდილება ამტკიცებს და დღევანდელობაც ადასტურებს იმას, რომ მასის მოტყუება ძნელი არ არის. ერთი კაცის მოტყუებაა ძნელი. თორემ მასის მოტყუებას რა უნდა? თუ არ ვცდები, კარდინალ რიშელიეს მიაწერენ ამ ნათქვამს. ჭკვიანი კაცი იყო საფრანგეთის კარდინალი! ამიტომაა, რომ პოლიტიკური პარტიები მიტინგებს ეტანებიან, თითქოს ყველა მათგანს მიტინგიტი სჭირს. რატომ? იმიტომ, რომ მიტინგზე თავმოყრილი ადამიანები პიროვნებათა ინტეგრირებულ ერთიანობას კი არ ჰქმნიან, არამედ ბრბოს!

გახსოვთ, ალბათ, მიტინგებზე წყდებოდა საფრანგეთის დიდი რევოლუციისა თუ კრომველის ინგლისის ბედ-იღბალი. სწორედ ბრბომ გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი საფრანგეთისა და ინგლისის მეფეებს და განა, მიტინგებით არ მოვიდა ჰიტლერი ხელისუფლებაში, ანდა, მიტინგები არ იყო, განა, ბოლშევიკების მთავარი საბრძოლო იარაღი ხელისუფლებაში მოსვლამდე?

ყველა რევოლუციასა თუ დიდ პოლიტიკურ შემობრუნებას დემაგოგიური ლოზუნგები უძღვის წინ. განა საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროშაზე არ ეწერა უკვდავი დემაგოგიური ლოზუნგი „ძმობა, ერთობა, თავისუფლება!“ რა მერე? ტალეირანი და ფუშე გასკონელი გლეხის ჟორჟისა და პარიზელი ასენიზატორის პლანშეს ძმებად და თანასწორებად იქცნენ?

რუსეთის ბოლშევიკური რევოლუციის ბელადებმა საფრანგეთის დიდი რევოლუციის დემაგოგიურ ლოზუნგს, კონკრეტული შინაარსის დემაგოგიაც დაუმატეს – „მიწა-გლეხს! ქარხანა-მუშას!“ პროდუქცია ვისაო,–ეს აღარ უკითხავთ, ისე იბღავლეს ვაშაო, გაბრიყვებულმა პროლეტარებმა.

ამ ყველაფრის მცოდნე ხალხი –„მიშა-მიშაო“ ბღაოდა, როდესაც მან ხელისუფლებისათვის ბრძოლის მიტინგზე ახალი სუპერ-დემაგოგიური ლოზუნგი გადმოუგდო ბრბოს: „დავუბრუნოთ საქართველო ქართველებს!“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ რა დაუბრუნეს ქართველ ხალხს, ამას ყველა ხედავს. არადა, მართლაც, რისი ღირსიც იყო, ის დაუბრუნეს ისტორიის მკაცრი გაკვეთილებისადმი უგულისყურო მოწაფეებს!

ახლაც იგივე და იმგარადვე ხდება: ერთ-ერთი ე.წ. პარტია, რომლის სარეკლამო ბანერებსაც ახლადგაპოლიტიკოსებული ყოფილი საოპერო მომღერლის დიდი პორტრეტები ამშვენებს, ასეთი ლოზუნგით მოდის: „სახელმწიფო ხალხისათვის!“ ეს არ არის სააკაშვილისეული ლოზუნგის ახალი რედაქცია? იმან რომ ხალხს „დაუბრუნა“ საქართველო, ახლა ეს გვპირდება, რომ მაგ „დაბრუნებულ საქართველოს თქვენ რომ გამოგადგებათ, ისე გადავაკეთებო!

რას არ ნახავთ ჩვენს პოლიტიკურ ბაზარზე: „ახალი დემოკრატები“„თავისუფალი დემოკრატები“ (ჯერჯერობით არ ჩანს „ჭკუაშეზღუდული დემოკრატები“), „ახალი მემარჯვენეები“ (ძველები სად არიან ნეტავი?), „ლეიბორისტები“ (ერთი კაცი თუ არის მაინც, რომელმაც იცის, რა არის ლეიბორიზმი!), „პატრიოტთა ალიანსი“, „ქრისტიან-დემოკრატები“, „ეროვნულ-დემოკრატები“ (დემოკრატების ცვენაა, საერთოდ!), „გირჩები“, „რკოები“, „თეთრები“, „მწვანეები“...

ვავა, ჩქიმი ცოდვა!

XX საუკუნის 10-იანი წლებია, ნამდვილად, როცა, მიხაკო წერეთლის თქმით, სამი ქართველი ოთხ პარტიას ქმნიდა. ამ პარტიობანამ ისე წაიყვანა საქმე, რომ 20-იანი წლების დასაწყისში კინაღამ ათი ჯუჯა სახელმწიფო ჩამოყალიბდა საქართველოში. მარტო ერთი გურიის საბჭოთა რესპუბლიკის მაგალითი რად ღირს!

დემაგოგიური ლოზუნგები დღეს ბევრად უფრო დახვეწილი, მკაცრად შეფუთული და ლამაზად რეკლამირებულია. ხალხის მოტყუებითი მექანიზმები ფსიქოლოგიის მეცნიერების დებულებებს ეფუძნება, თუმცა, არსი ისევ ისე პრიმიტიულია, როგორიც 300 და მეტი წლის წინ იყო: –კარგი ცხოვრების დაპირება!

როგორც საფრანგეთის დიდი რევოლუციის წინ არ უკითხავს დემაგოგიით გამოლენჩებულ ფრანგ პროლეტარიატს, რას ნიშნავდა ლოზუნგი „თავისუფლება!“ – ტყვეობიდან თავდახსნას, პატიმრობიდან გათავისუფლებას, სამ

(დასასრული V გვერდზე)

ისტორიის მკაცრი გაკვეთილები და უგულისყური მოწაფეები

(დასასრული)

სახურიდან გაშვებას, ყოველგვარი პასუხისმგებლობის მოხსნას, თუ რუსეთის გაყინულ უკიდეგანო ტრამალებზე სიკვდილს, ასევე არ კითხულობს აბსოლუტური უმრავლესობა დღეს, რას ნიშნავს ევრო-ატლანტიკური არჩევანი და რატომ ეწირება ქართველი ჯარისკაცი ანგოლასა თუ ავღანეთში საქართველოს ეროვნულ ინტერესებს. ევროპის ქალაქები – პარიზი თუ ბერლინი, ბრიუსელი თუ ვენა, მადრიდი თუ რომი უფრო ცივილიზებული, ლამაზი და მომხიბლავია, ვიდრე ხარაგაული თუ საჩხერე, კასპი თუ წნორი. ამიტომ ჩვენ ევროპისკენ მივდივართ მიგვიხარიაო,– ჭყლოპინებენ ჩვენი უიპოლიტიკოსები და ჩვენც, ტაშს არ ვიშურებთ მათთვის, ისევე, როგორც სამასი თუ ასი წლის წინ არ იშურებდნენ ხმასა და სიცოცხლეს პარიზელი თუ მარსელელი ბეჩავები, პეტერბურგელი თუ ტულელი პროლეტარები, სტავროპოლელი თუ იმერელი გლეხები.

ისტორია სულ ტყუილად გვასწავლის გაკვეთილებს, უსწავლელობისთვის კი სრულიად უშედეგოდ გვსჯის, თანაც ძალიან მკაცრად. ვერა და ვერ ვისწავლეთ არჩევანის გაკეთება, ვერ დავიმახსოვრეთ ძალიან მარტივი ალგორითმი, რომელიც ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანის გადაწყვეტას სჭირდება.

რატომ მიაღწია დავით აღმაშენებელმა უდიდეს წარმატებას სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ყველა მიმართულებით? განა რა ცოდნა-გამოცდილება ჰქონდა თექვსმეტი წლის ყმაწვილს, რომელმაც სამეფო გვირგვინი დაიდგა თავზე! ბრძენი მრჩეველი და აღმზრდელი ჰყავდა გვერდით – გიორგი ჭყონდიდელი! ჩვენ კი დავივიწყეთ მარად უკვდავი და ბრძნული შეგონება: „ვაი იმ ქვეყანას, რომელსაც ყმაწვილნი მართავენ!“

აი, ერთ-ერთი პირველი მიზეზი დღევანდელი საქართველოს დაქცევა-გადაგვარებისა!

სააკაშვილის ნაცბანდის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე სამსახურებიდან დაიფრინეს მოწიფული და ჭარმაგი სპეციალისტები და ქვეყანა ბიჭ-ბუჭებს ჩააბარეს. ნაცბანდის განათლების მინისტრმა, ვინმე ლომაიამ, პირდაპირ თქვა, ორმოცი წლისა ხე არ მინდა ეზოშიო! ამის მთქმელები და ამგვარად მოაზროვნენი უფსკრულში რომ გადაჩეხავდნენ ქვეყანას, არ უნდა გვეფიქრა?

ჩვენ ხომ წინ გვედო ისტორიის მკაცრი გაკვეთილები!

ახალგაზრდობა უნაკლო როდია, მაგრამ ყველა ნორმალური საზოგადოება სამი ასაკობრივი ფენისგან უნდა შედგებოდეს – ახალგაზრდები, მოწიფულები, ჭარმაგები. თითოეულმა მათგანს გარკვეული ფსიქოლოგიური ფუნქცია აკისრია: ახალგაზრდობა რადიკალურია, აქტიური და აჩქარებული. იგი მომავალზეა ორიენტირებული და აწმყო და წარსული ნაკლებად აინტერესებს. იგი პროგრესის ხელშემწყობი ძალაა, მაგრამ საბედისწერო შეცდომების დაშვების დიდი შანსიც აქვს. მოწიფულობა, ძირითადად, აწმყოზეა ორიენტირებული და სადღეისო შედეგებით აფასებს თავის მოქმედებას. სიჭარმაგეში ადამიანი კონსერვატორი ხდება და მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტრადიციებს ან წარსულს. ინგლისელებს აქვთ ერთი ასეთი სენტენცია: ახალგაზრდობაში რადიკალი თუ არ ყოფილხარ, გული არ გქონია და სიჭარმაგეში კონსერვატორი თუ არ გამხდარხარ, ტვინი არ გქონიაო მაშინ!

ერთი სიტყვით, ამ სამი ასაკობრივი ფენის ერთობლიობა არაა სტაბილური განვითარების გარანტია. აბა, წარმოიდგინეთ, რა დაგვემართება ჩვენს ავტომობილს მხოლოდ აქსელერატორი რომ ჰქონდეს და მუხრუჭი არა, ანდა – პირიქით! აი, ასეა საზოგადოებაც.

აქ ნახსენები ზოგადი კანონზომიერება, რა თქმა უნდა, ეჭვს არ იწვევს, მაგრამ თანამდებობებზე კადრების შერჩევისას კონკრეტული პიროვნების ინდივიდუალური თვისებები უნდა გავითვალისწინოთ, არჩევანი უტყუარი რომ გამოგვივიდეს, თორემ 24-25 წლის ისეთი ახალგაზრდაც გვინახავს და გაგვიგონია, რომელიც დიდი ცხოვრებისეული გამოცდილებით არის დატვირთული და სიბრძნის კარიბჭესთანაც დგას და ისეთი 50-წლისანებიც ვიცით, მთელი ცხოვრება ტაშფანდურში რომ აქვს გატარებული და ხეირიანად ისიც კი არ იცის, პურს ხე ისხამს თუ თონეშია გამომცხვარი.

აგერ ახლახან არ იყო, ერთი ლამაზი გოგო, რომლის შრომითი საქმიანობა მინისტრის თანამდებობიდან დაიწყო; ანდა, თავდაცვის მინისტრობა რომ ჩააბარეს ერთ ბიჭს, რომელმაც ფულის თვლა იცოდა მხოლოდ. განათლებისა და სოფლის მეურნეობის მინისტრებზე ქართულ თანამედროვე ფოლკლორში ხომ ანეკდოტები შეიქმნა: განათლებისა და მეცნიერების მინისტრი სასწავლებლად გააგზავნეს რომელიღაც უნივერსიტეტშიო, რომ თქვეს, ანეგდოტს არ ჰგავდა ეს? სამწუხარო ის არის, რომ ეს სინამდვილე იყო და არა ანეკდოტი.

ასი წლის წინანდელი კი არა, გუშინდელი მაგალითები არ გვახსოვს. სულ ახლახანს მინისტრად დანიშნეს ერთი ბიჭი, რომელიც თურმე სამი აკადემიკოსის ოჯახში გაზრდილა და თანაც საქართველოს ერთ-ერთი პრეზიდენტის მეზობლად უცხოვრია. ის კი არავის უთქვამს, ის დარგი თუ იცის, რომლის მართვაც ჩააბარეს. ვინ არიან ის აკადემიკოსები, რომელთა ოჯახშიც ეს ბიჭი გაიზარდა არ ვიცი, მაგრამ ე, მანდ ისე არ გამოვიდეს, ერთ ქართულ ანდაზაში რომ არის: თაგვი წისქვილში იბადება და იზრდება, მაგრამ მეწისქვილე ვერ ხდებაო.

ისტორიას გულისყურით თუ გადავფურცლავთ, დავინახავთ, რომ ჩვენ (და სხვებსაც!) პირადი თუ ეროვნული უბედურება მაშინ გვატყდებოდა თავს, როდესაც ჩვენს ღვთიურ წარმომავლობას ვივიწყებდით, უფლის მცნებები აღარ გვახსოვდა და ადამიანი კერპებისა და მამონას მონები ვხდებოდით. აღარც თავისუფალი ნება გვქონდა მაშინ და აღარც არჩევანის უნარი. ამიტომაც ვიმეორებდით ზედიზედ ერთსა და იმავე შეცდომებს...

მარაბდის ბრძოლის წინ ქართლ-კახეთის მეფემ ჯარის სარდლად მის გვერდით მდგომი სწორუპოვარი მხედართუფროსი და გმირი გიოგი სააკაძე კი არ დანიშნა, არამედ სხვაზე შეაჩერა არჩევანი. რატომ? ქვეყნის მტერი იყო ის მეფე, თუ უვიცი? არც ერთი! უფლის მცნება დავიწყებოდა და სააკაძისადმი შურს დაებრმავებინა, „წუხილს შეეპყრო „სხვისა სიკეთესა ზედა“. დიდებულებსაც დავიწყებოდათ უფალი და ამიტომაც დაგვრეჯგვეს მარაბდაში სასტიკად.

ჩვენი უახლოესი წარსულის მწარე მაგალითი უნდა გავიხსენოთ, რომლის გამეორების დიდი შანსი გვაქვს დღესაც...

გახსოვთ, ალბათ, 1989 წლის 9 აპრილის ღამეს, როცა რადაც ძალების მიერ წაქეზებული ექსტრემისტების არაადეკვატური საქციელის გამოისობით, მთავრობის სასახლის წინ გამართულ მიტინგზე მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა, მომიტინგეებთან ღვთის სახელით მისულ პატრიარქს, რომელიც გაბრიყვებულ მოქალაქეებს მოუწოდებდა, ეკლესიაში წავიდეთ და საქართველოს გადარჩენისთვის ვილოცოთო, ერთ-ერთმა ავანტიურისტმა მიკროფონი გამოგლიჯა ხელიდან და ხალხს შესძახა, არ უგდოთ ყური ერის სულიერ მამასო. ბრბომ, როგორც არაერთგზის, მაშინაც არ დაუჯერა სიბრძნეს და გაჰყვა სიბრიყვეს!

ცხონებულმა მერაბ კოსტავამ თქვა ერთხელ: შენი თავი კი არ უნდა გიყვარდეს ეროვნულ მოძრაობაში, არამედ ეროვნული მოძრაობა უნდა გიყვარდეს შენშიო. ჭეშმარიტად ღვთიური სიტყვებია! წარსულშიც და ახლაც, საშოვარზე გამოცვენილ „პოლიტიკოსებს“ სამშობლო კი არ უყვართ, საკუთარი თავი უყვართ სამშობლოში და ამიტომაც იშენებენ სრა-სასახლეებს გაღატაკებულ თანამემამულეთა თვალწინ და უნამუსოდ ატყუებენ გაბითურებულ ამომრჩევლებს: მე რომ ოქროს სასახლეს ავიშენებ, თქვენ ბროლის კოშკებს დაგიდგამთო მაშინ.

ისტორიამ დანდობა არ იცის. მის მიერ მოცემულ გაკვეთილებს ვინც ვერ ისწავლის, უსათუოდ დაირეჯგვება უგულისყურობისთვის, ხოლო ღვთის მცნებები ვინც დაივიწყა, შენდობის იმედი ნუ ექნება!

ზურაბ ცუცქირიძე

თათია კახეთელიძე - ევროპის ახალგაზრდული პარლამენტის წევრი

მორიგი მიღწევით გაგვახარა ჩვენი რაიონის ერთ-ერთერმა აქტიურმა და წარმატებულმა ახალგაზრდამ თათია კახეთელიძემ, რომელიც ახალგაზრდული საკრებულოს თავჯდომარეა. თათია ევროპის ახალგაზრდული პარლამენტის წევრი გახდა და შვეიცარიაშიც მიემგზავრება საერთაშორისო ასამბლეაზე. აღსანიშნავია, რომ ჩვენი რაიონიდან მხოლოდ მან მოახერხა ამ პროექტში გამარჯვება, რაც ჩვენი რაიონის წინსვლის საქმეში წინგადადგმული ნაბიჯია. თათიამ სიმოვნებით გვიამბო საკუთარ მიღწევებზე.



თათია კახეთელიძე: "ევროპის ახალგაზრგული პარლამენტი" არის საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტი, რომელიც ხელს უწყობს ევროპელ ახალგაზრდებს აქტიურად ჩაერთონ ახალგაზრდული პოლიტიკის წარმართვაში და ერთობლივად იმუშაონ საერთო ევროპული და გლობალური პრობლემების გადასაჭრელად. ორგანიზაცია ახორციელებს მასშტაბურ პროექტებს. ტარდება სესიები, იქმნება კომიტეტები, სადაც განიხილავენ ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორებიცაა ადამიანის უფლებათა დაცვა, საერთაშორისო ურთიერთობები, ეკონომიკა, გარემოს დაცვა და სხვა. მე ამ პროექტში შემდეგნაირად მოვხვდი: საქართველოში მოეწყო ერთ-ერთი შიდა შესარჩევი კონკურსი, რომელშიც საკმაოდ ბევრი კონკურსანტი იღებდა მონაწილეობას, შეარჩიეს სულ 10 ბავშვი. პირველი ნაკადი ირლანდიაში წავიდა საერთაშორისო ასამბლეაზე და მეორე ნაკადი ჩვენ, ანუ დარჩენილი ხუთი ბავშვი მივდივართ შვეიცარიაში, სამთო კურორტ ლააქსში, სადაც ჩატარდება 83-ე საერთაშორისო ასამბლეა. სხვადასხვა ქვეყნებიდან არჩეული საუკეთესო დელეგატები გამართავენ დებატებს სხვადასხვა თემებზე და შეიმუშავებენ რეზოლუციებს, რაც, მეტნაკლებად, გადაჭრის არსებულ პრობლემებს. უკვე გვყავს ხელმძღვანელი – ირლანდიელი, რომელმაც გადმოგვიგზავნა თემები, რაზეც ვისაუბრებთ კომიტეტში. თემა შემდეგია: კომპლიქტი მთიან ყარაბაღში. დაინტერესებული ვარ ამ თემით და ვცდილობ, ცოდნა უფრო გავიღრმავო. გარდა იმისა, რომ ჩემი თემის ირგვლივ ვისაუბრებ, ასევე აქტიურად ჩავებმები დებატებში და ხმის მიცემაშიც მივიღებ მონაწილეობას. შვეიცარიაში 16 ოქტომბერს გავემგზავრებით და იქ 10 დღეს დავყოფთ.

წარმატებას ვუსურვებთ თათიას მთელი მუნიციპალიტეტის სახელით. ვიმედოვნებთ, რომ მომავალში ცოდნას, გამოცდილებას და ნიჭს საკუთარი ქალაქის სასიკეთოდ მომართავს.

თ. ახალკაცი

ლესიაობა - 2016

ლესია უკრაინკა(ლარისა კოსაჩი) პირველად 1903 წელს ეწვია საქართველოს, ამის შემდეგ იგი პერიოდულად სტუმრობდა სხვა წლებშიც. 1913 წელს, სურამში დაიდო ბინა, სადაც მან სიცოცხლის ბოლო დღეები გაატარა. აქვე აღესრულა და მოხდა მისი ნეშტის გადასვენება მშობლიურ უკრაინაში. აქედან იწყება ორი ერთმორწმუნე ქვეყნის განსაკუთრებული მეგობრობა-ლესია უკრაინკა დღემდე მეგობრობის სიმბოლოა, რომელიც ერთნაირი სიყვარულით უმღერდა საქართველოსაც და უკრაინასაც. აღსანიშნავია, რომ ლესია უკრაინკას დღემდე დიდი სიყვარულით და პატივით მოიხსენიებენ სურამში, სადაც მან სიცოცხლის ბოლო წუთები გაატარა.

ტრადიციად დამკვიდრდა,ჩვენი ქალაქის დღესასწაულის მეორე დღეს,"ლესიაობა" იზეიმოს ორმა ერმა. უკრაინიდან საგანგებოდ ამ დღისთვის ჩამოდიან საპატიო სტუმრები,რათა პატივი მიაგონ ლესია უკრაინკას ხსოვნას,საფუძველი ჩაუყარონ და გაამყარონ ურთიერთობები,რომლებსაც დიდი ისტორია აქვს. წელსაც, მზიანი ამინდით,ქართული სტუმართმოყვარე გულებით დავხვდით ნოვოგრად-ვოლინსკიდან ჩამოსულ სტუმრებს. ორდღიანმა მასპინძლობამ, განსაკუთრებით მოხიბლა ისინი. უკრაინული დელეგაციის ნაწილი, პირველად იმყოფებოდა ჩვენ ქალაქში, რამდენიმე ბიზნესმენისთვის კი ძალიან ახლობელ ქალაქად ქცეულა, ყოველ წელს სტუმრობენ ოჯახებიანად, უკეთ გასაცნობად, დასაახლოვებლად. წელს, ლესიაობას განსაკუთრებული სტუმრის რანგში საქართველოში უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ნაზაროვი სტუმრობდა. პირველი შეხვედრა სურამის ლესია უკრაინკას სახელობის №3 საჯარო სკოლაში შედგა, რომელიც ტრადიციული მასპინძელია წლების მანძილზე. პედაგოგებმა და მოსწავლეებმა გააცოცხლეს ლესია უკრაინკას ცხოვრება და შემოქმედება, საქართველოსთან მისი განსაკუთრებული სიყვარული და დამოკიდებულება, რაც ასახულია მის შემოქმედებაში. სტუმრებმა სამადლობელი სიტყვა წარმოთქვეს, სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს სკოლას და მოსწავლეები უკრაინაში მიიპატიჟეს. მეორე ნაწილი უკვე მუზეუმში ელოდათ. სადაც ყველა ის ნივთია დაცული, რომელიც ლესია უკრაინკას სახელს უკავშირდება. მუზეუმშივე ხელი მოეწერა ხაშურის მუნიციპალიტეტსა და ნოვოგრად-ვოლინსკის რადას შორის პარტნიორობის გაგრძელების მემორანდუმს. დელეგაციის წევრებმა და ხაშურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა ყვავილებით შეამკეს ლესია უკრაინკას ძეგლი, რომელიც ქმნის სიმბოლოებს ორ ქვეყანას შორის. ყველაზე ამაღელვებელ მომენტად სტუმრებისთვის ისევდაისევ ქართულ ფოლკლორთან შეხება რჩება, რაც ჩვენ სიმდიდრეს და სიამაყეს წარმოადგენს, დიდ ინტერესს და მოწონებას იმსახურებს. ხაშურის კულტურის სამსახურის მიერ ორგანიზებულ კონცერტში ადგილობრივი შემსრულებლები იღებდნენ მონაწილეობას. ქორეოგრაფიული ანსამბლი "სურამი", დ. ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონატის ვოკალური ჯგუფი, "დაისი", "ციცინათელა" "ქართლი", სამუსიკო სკოლის მევიოლინეთა ანსამბლი, მარიამ მარნაძის ანსამბლები და შემსრულებლებია რომლითაც ვიწონებთ თავს შინ თუ გარეთ. იყო ქართული და უკრაინული სიმღერა, კულტურების სხვადასხვაობა და მრავალფეროვნება. ასეთი დღეები გვაახლოვებს, ასეთი დღეები გვავიწყებს მტრობას, ომს, ასეთ დღეებს სიყვარული მოაქვს, იმედები. განსაკუთრებული კმაყოფილება ემჩნეოდათ სტუმრებს, რომლებისთვისაც პირველი ვიზიტი იყო ჩვენ ქვეყანაში, ჩვენ ქალაქში. ჩვენი სუფრის, მასპინძლობის, ტრადიციების შესახებ სმენიათ, მაგრამ მიახლოვება, შეხება, ახლოს გაცნობა სხვა ეფექტს ახდენს, სხვა განცდები ახლავს.

თამარ ჯობაძე (სურამის მე-3 საჯარო სკოლის პედაგოგი):

–ძალიან მნიშვნელოვანი დღესასწაულია ლესიაობა, რომელიც უკვე ნახევარი საუკუნეა არსებობს და აღინიშნება სურამში. ჩვენი სკოლა დიდი მეგობარია უკრაინის. მახსოვს ბევრი საინტერესო პროგრამა ღონისძიებები. მათი სტუმრობის დროს ყოველთვის მეგობრობის, სითბოს გარემო ტრიალებს. ძალიან მიხარია, რომ ეს ფაქტი მოსწავლეებს ტოლერანტობას და სხვა ქვეყნის სიყვარულს ასწავლის.

ლარისა ზაეცი (კულტურის განყოფილების უფროსი):

–თქვენ ქვეყანაში პირველად ვარ. ჯერ ბევრი არაფერი გვინახავს, მაგრამ უკვე გვიყვარს და აღფრთოვანებულები ვართ ასეთი მასპინძლობით, დახვედრით. ჩვენ ქვეყნებს ისტორიული მეგობრობა აკავშირებთ, რომელიც ლესია უკრაინკამ უფრო გააღრმავა. ბედნიერი ვარ, რომ მხვდა წილად აქ ჩამოსვლა და თქვენი ხალხის, კულტურის უკეთესად გაცნობა.

ტარიელ გოგალაძე:

–ტრადიციულ, ყოველწლიურ ლესიაობას წელს ცოტა ადრე ვატარებთ, საარჩევნო გარემოს გათვალისწინებით. განსაკუთრებით ბევრი სტუმარი ჩამოვიდა ნოვოგრად-ვოლინსკიდან, ლესია უკრაინკას სახლმუზეუმი რესტავრაციას საჭიროებს,რომელიც დიდ თანხებთანაა დაკავშირებული,პროექტის ღირებულება გადაიხადა უკრაინულმა მხარემ, რომ არა რუსეთთან კონფლიქტური სიტუაცია, დღეს ეს სახლ-მუზეუმი რესტავრირებული იქნებოდა. წელს, ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის დირექტორმა, რომელიც უკრაინელია, სურვილი გამოთქვა დახმარების. დარწმუნებული ვარ ეს მუზეუმი უახლოეს მომავალში აშენდება.

ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. წლევანდელი „ლესიაობაც“ დასრულდა თავისი მზიანობით. დაველ;ოდოთ მომავალს, რომელსაც თავისი სიკეთე და სიყვარული მოაქვს.

თ. ჯავახიშვილი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@.gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.